

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით და მეორე მხრივ, შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ინგოროყვას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების (შემდგომში - „დადგენილება“) შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის შედეგად (CPV კოდი 85100000) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2012 წლის რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) ფარგლებში, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისიის 2013 წლის 23 აპრილს გამართულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე (სხდომის ოქმი N10), ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობისათვის.

2.2 დანართი N1, დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50244 (ორმოცდაათი ათას ორას ორმოცდაოთხი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

## 4. პროგრამების დაფინანსება და მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერთჯერადათ, „შემსყიდველთან“ შესრულებული სამუშაოს წარდგენის შემდეგ.

4.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „დადგენილებით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

5.1.2. გაარკვეოს პაციენტი (ან მისი მეურვე) თავის (პაციენტის) უფლება-მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;

5.1.3. კანონმდებლობის სრული დაცვით აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება პაციენტს;

5.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების შეცვლის შესახებ;

5.1.5. „შემსყიდველი“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტრირებას და/ან ამ მუხლის 5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

5.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

5.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.3.1. პროგრამის ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების საფასური;

5.3.2. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.4.1. მოითხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

5.4.2. მოითხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;

5.4.3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა

„მიწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

## 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

6.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

6.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

6.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.

6.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.

6.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიწოდებლის“ წერილობითი ინფორმირების შემდეგ:

6.4.1. თუ „მიწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;

6.4.2. თუ „მიწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

6.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

6.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.6. „მიწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება „დადგენილებით“ გათვალისწინებული პირობებით.

6.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით,

**9. სადავო საკითხების გადაწყვეტა**

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. მხარეებს, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

**11. მხარეთა პასუხისგებლობა**

11.1. მხარეთა პასუხისგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებით გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

**12. სხვა პირობები**

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.6. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით ეტაპოვრივად ან/და ერთჯერადად, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან ინვოისს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეები აგრეთვე ვთანხმდებიან, რომ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ფორმები და პირობები შეს აძლებელია დაზუსტდეს დამატებით, „შემსყიდველის“ მიერ, რაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს“.

12.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12.8. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.


**13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

„შემსყიდველი“  
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო  
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,  
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927

  
\_\_\_\_\_ **მამუკა გელოვანი**  
დირექტორის მოადგილე



„მიმწოდებელი“  
შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი,  
საუნივერსიტეტო კლინიკა“  
ქ. თბილისი, წინანდლი ქ. N9  
საიდენტიფიკაციო კოდი 211385767  
ს/ს „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი BAGAGE22  
ა/ნ GE29BG0000000942316100

  
\_\_\_\_\_ **გიორგი ინგოროვა**  
დირექტორი



საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილებით შექმნილი კომისიის 2013 წლის 23 აპრილს N10 სხდომის გადაწყვეტილება

N	სახელი-გვარი	პირადი ნომერი	სტატუსი (არსებობის შემთხვევაში)	გასაწევი სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტების ღირებულება)	შენიშვნა
1	კახაძე ლალი	01957000006		2500.00	
2	ფეიქრიშვილი ჯემალი	01012005724		2000.00	
3	ჭიღვარია რუსუდან	01029013594		2500.00	
4	ლომაშვილი ქეთო	01024039934		980.00	
5	კვანტალიანი ალექსანდრე	02001000954		3500.00	
6	ელიბეგოვი მარინა	1011041811		1500.00	
7	იუშკოვა ჯემა	01008006946		602.00	
8	გუგეშვილი იზოლდა	54001041393		3000.00	
9	გოგინაშვილი რევაზ	01011022525		2000.00	
10	ადაბია თინათინ	60001116225		2000.00	
11	კირთაძე ნათელა	62004009289		200.00	
12	ღვინჯილია ვლადიმერ	51001009173		1500.00	
13	ღვედაშვილი გალინა	12001036971		290.00	
14	კაპანაძე მურადი	18001026841		595.00	
15	მალიჩავა მამუკა	19001071240		3500.00	
16	შენგელია ლევან	01024023636		3,500.00	
17	ჭანტურაია ლია	01001009968		1,000.00	
18	ლაჭავა რუსუდან	01011068554		410.00	
19	კეკუა მანუჩარ	62006057975		3,500.00	
20	ჩადუნელი ავთანდილი	01006006160		4500.00	
21	ღურწყაია რენო	62006034804		1500.00	
22	ზოზიაშვილი ვალერიკი	01003012850		5000.00	
23	ჩაჩუა მზია	01027055615		1500.00	
24	გაგნიძე დავითი	01019048617		1667.00	
25	ვადაჭკორია მარინა	01011072442		1000.00	
	<b>ჯამი</b>			<b>50244.00</b>	

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

მამუკა გელოვანი  
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი,  
საუნივერსიტეტო კლინიკა“

გიორგი ინგოროყვა  
დირექტორი